

„რუსი ტურისტი აფხაზეთში რადიოაქტიური საათის შეტანას ცდილობდა“

რუსეთ-აფხაზეთის დე ფაქტო საზღვარზე, ქალაქ ადლერში რუსი ტურისტი დააკავეს.

რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის ცნობით, იგი ოკუპირებულ აფხაზეთში საათის შეტანას ცდილობდა, რომლის რადიოაქტიური ფონი ნორმას 30-ჯერ აჭარბებდა.

მისივე ინფორმაციით, მამაკაცი ირწმუნება, რომ საათი, რომელსაც საბუთები არ მოჰყვებოდა, ოკუპირებულ აფხაზეთში ნაცნობებისთვის უნდა ეჩუქებინა.

29.07.2017 ИНТЕРФАКС <http://www.interfax.ru/russia/568554>

„შავ ზღვაში: დელფინების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება“

ბოლო 2 თვის განმავლობაში 68 დელფინი დაიღუპა ნოვოროსიისკი-ტუაფსეს სანაპირო ზოლზე, ბოლო ერთ თვეში კი 4 შემთხვევა ოკუპირებულ აფხაზეთში დაფიქსირდა.

ძუძუმწოვრების სიკვდილიანობის გახშირებულ შემთხვევებთან დაკავშირებით რუსეთის გარემოს დაცვის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო და მიზეზები დგინდება.

ოკუპირებული აფხაზეთის ეკოლოგიის ინსტიტუტის ე.წ. დირექტორი რომან დბარი განმარტავს, „ოკუპირებული აფხაზეთის სანაპირო ზოლზე ყოველწლიურად, საშუალოდ 10-15 დელფინი იღუპება. სიკვდილიანობის მიზეზი შეიძლება, რამდენიმე იყოს, მათ შორის დაავადებები, წყლის დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი და ა.შ. მაგრამ ყველაზე მთავარი - ბრაკონიერობაა. დელფინები იხოცებიან ძირითადად მეთევზეების ბადეებში. ბრაკონიერები კამბალას დასაჭერად იყენებენ 188 მილიმეტრიან ბადეებს, რაშიც დელფინებიც ებმებიან და თავის დახსნას ვერ ახერხებენ“.

დბარის ინფორმაციით, შავ ზღვაში სამი სახეობის დელფინი ბინადრობს, მათი საერთო რაოდენობა დღეის მდგომარეობით 100 ათასამდეა და ყოველწლიურად მცირდება.

30.07.2017 АПСНЬПРЕСС <http://www.apsnypress.info/news/ekolog-bolshee-chislo-delfinov-pogibaet-v-rybatskikh-setyakh/>

„სურკოვი აფხაზეთში რუსული ინვესტიციებისა და სამხედრო თანამშრომლობის შესახებ“

ვლადიმერ პუტინის მრჩეველი ვლადისლავ სურკოვი სოხუმში 3 ივლისს ჩავიდა. ოფიციალური ცნობით, სურკოვის ვიზიტის ძირითადი მიზანი ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფულით საინვესტიციო პროგრამის განხორციელების შეფასება იყო.

ვლადისლავ სურკოვმა, დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრთან, ბესლან ბარციტთან და ე.წ. ვიცე-პრემიერთან, ბესლან ეშბასთან ერთად მოინახულა ი. პაპასკირის სახელობის ე.წ. ეროვნული ბიბლიოთეკა და №3 სკოლა, რომლებიც რუსული საინვესტიციო პროგრამის სახსრებით გარემონტდა.¹

ოფიციალური ვიზიტის დროს, სურკოვი არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას დახურულ კარს მიღმა შეხვდა.

შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ვლადისლავ სურკოვმა ჟურნალისტებს განუცხდა, რომ რუსული საინვესტიციო პროგრამის აფხაზეთში განხორციელება აფხაზურ და რუსულ მხარეებს შორის ხელმოწერილ დოკუმენტებს შეესაბამება. მისი თქმით,

„აფხაზეთში არსებული პოლიტიკური სტაბილურობა რესპუბლიკის განვითარებას უწყობს ხელს. იწყება საინვესტიციო პროგრამის მორიგი ეტაპი, რუსეთიდან ფინანსური სახსრები შემოდის, მომზადებულია ხარისხიანი დოკუმენტაცია ყველა ობიექტის შესახებ, რომელთა მნიშვნელოვანი

ნაწილი ინფრასტრუქტურული ობიექტებია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ტურისტული, ეკონომიკური და სამრეწველო სექტორებისთვის.“

სურკოვის ცნობით, მოსკოვმა მოიწონა მილიარდ რუბლზე (დაახლოებით \$17 მილიონი) მეტი ღირებულების პროექტები. ეს არის სასტუმროების ბიზნესი, საკვები პროდუქცია და სოფლის მეურნეობა. მისი განმარტებით, „სასიხარულოა, რომ შეთანხმებულად მუშაობენ და ორი ქვეყნის ურთიერთობა ინტეგრაციის უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. მატულობს სოციალური ინტეგრაცია და აფხაზეთის მაცხოვრებლებმა იგრძნეს რომ გაიზარდა პენსიები და რიგი სხვა სოციალური დახმარება.“

ვლადისლავ სურკოვმა „ძალიან სერიოზულ ნაბიჯად“ მოიხსენია უსაფრთხოების სფეროში არსებული შეთანხმების ფარგლებში ერთობლივი საჯარისო დაგჯუფების შექმნა.

ბრიფინგის ბოლოს სურკოვმა და ხაჯიმბაბამ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ, უძრავი ქონების შეძენის თემაზეც ისაუბრეს.

პირველად ჟურნალისტის შეკითხვას რაულენ ხაჯიმბამ უპასუხა და ხაზგასმით აღნიშნა:

„რუსი ინვესტორების გარდა, ჩვენთან უცხოელი ინვესტორებიც მოდიან. საჭიროა, ყველასთვის შევქმნათ გარკვეული პირობები- ჩვენი მეგობრებისთვის რუსეთიდან და მათთვისაც, ვინც დამატებით პირობებს ქმნის ჩვენი ეკონომიკის ზრდისთვის“.

შემდეგ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველმა ისაუბრა და თქვა:

„ვიციტ, რომ უძრავი ქონების ბაზარი საკმაოდ მწვავედ არის შეზღუდული. კარგი იქნება თუ მოხდება მოქმედი კანონის ლიბერალიზაცია. თუკი ეს ბარიერი ჭკვიანურად იქნება მოხსნილი, აფხაზეთის სუვერენიტეტისთვის რისკების გარეშე, ესეც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ამის გარდა, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საინვესტიციო სააგენტოს, სადაც თავს იყრის საბიუჯეტო და კერძო ინვესტორების სახსრები, გამოცდილება თანდათანობით მოგვცემს კარგ ეფექტს და შექმნის ხელსაყრელ გარემოს. არსებული შეზღუდვები და განუვითარებელი ინფრასტრუქტურა აფხაზეთში საინვესტიციო ბუმს ვერ შექმნის.“²

შეგახსენებთ, რომ მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ რუსულ-აფხაზურ შეთანხმებას აფხაზეთისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებმა 2014 წლის 24 ნოემბერს მოაწერეს ხელი.

1 <http://www.apsnypress.info/news/surkov-proinspektiroval-v-sukhume-otrestavrirovannuyu-shkolu-3/>

2 <https://www.youtube.com/watch?v=uaPMI2awb20>

03.07.2017 **Абхазия-Информ**<http://abkhazinform.com/item/6113-vladislav-surkov-rynok-nedvizhimosti-v-abkhazii-dovolno-zhestko-ogranichen>

„ყაჩაღური თავდასხმა მინისტრთა კაბინეტის წევრის ოჯახზე“

სოხუმში ოთხი დაუდგენელი ნიღბიანი პირი ოკუპირებული აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის ლაშა ცაავას სახლში შეიჭრა. იარაღის მუქარით მათ სახლიდან გაიტანეს ფული, 75 000 რუბლის ოდენობით, და ძვირფასეულობა, ასევე, „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატი და ცაავას კუთვნილი სიტროენის მარკის ავტომობილის გასაღები, რის შემდეგაც ბოროტმოქმედები მიიმალნენ,

03.07.2017 **Абхазия-Информ**<http://abkhazinform.com/?start=10>

„აფხაზეთში სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი შედგება“

7-8 ივლისს, ოკუპირებულ აფხაზეთს, პირველად ე.წ. ოფიციალური ვიზიტით, არაღიარებული სამხრეთ ოსეთის რეპუბლიკის პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი ეწვევა.

განცხადებაში, რომელსაც აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის პრეს-სამსახური ავრცელებს ვკითხულობთ, „7 ივლისს ორი ქვეყნის მეთაური შეხვედრას გამართავენ. იგეგმება ურთიერთთანამშრომლობის მდგომარეობისა და პერსპექტივების განხილვა. აგრეთვე, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ურთიერთობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.“

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან, დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი, კულტურის მინისტრი, გენერალური პროკურორი, სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე და საზოგადოებრივი პალატის თავმჯდომარე.

04.07.2017 ПРЕЗИДЕНТ РА <http://presidentofabkhazia.org/about/info/news/>

05.07.2017